საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №49

2023 წლის 31 ივლისი

ქ. თბილისი

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 26/10/2020, 240140000.41.046.016015) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების“:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქმის გარემოებების დეტალური აღწერა, სადაც უნდა მიეთითოს შესაბამისი ფაქტები, გარემოებები, სავარაუდო შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრები და მტკიცებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის თაობაზე. ასევე, მსჯელობა დამდგარ ან მოსალოდნელ ქონებრივ ზიანზე;”.

ბ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ზ^1$“ ქვეპუნქტი:

$ზ^1$) მითითება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე მიმდინარე ან/და დასრულებული სასამართლო დავის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით):“.

2. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო საკითხს შეისწავლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, რისთვისაც იგი იყენებს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ სათანადო უფლებამოსილებას.“.

3. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სააგენტო უფლებამოსილია, იმავე დავის საგანზე, იმავე მოპასუხე მხარის/მხარეების მიმართ წარმოდგენილ რამდენიმე საჩივართან დაკავშირებით, დაიწყოს ერთიანი მოკვლევა.“.

4. დანართი №1-ით დამტკიცებული საჩივრის ფორმა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

საჩივარი

1. ზოგადი მონაცემები

მომჩივანი:

1.სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში); დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში):

2. მისამართი:

3. ტელეფონი:

4.ელ-ფოსტა:

მომჩივანის წარმომადგენელი:

1.სახელი, გვარი, პირადი ნომერი:

2.მისამართი:

3.ტელეფონი:

4.ელ-ფოსტა:

მოპასუხე:

1. სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში); დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში):

2. მისამართი:

3. საკონტაქტო მონაცემები:

საჩივრის სახე

(მითითება იმის თაობაზე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის რომელი მუხლის/მუხლების სავარაუდო დარღვევას აქვს ადგილი)

2. საქმის გარემოებების დეტალური აღწერა

(დეტალური ინფორმაცია კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, შესაბამისი ფაქტების, გარემოებების, მტკიცებულებების, სავარაუდო შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების მითითებით, ასევე, მსჯელობა დამდგარ ან მოსალოდნელ ქონებრივ ზიანზე)

3. მტკიცებულებები

1. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს

(დანართი №)

2. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს

(დანართი №)

3. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს

(დანართი №)

4. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

(გთხოვთ, დაასახელოთ, კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის ცნობა გსურთ კომერციულ საიდუმლოებად - შესაბამისი დასაბუთების მითითებით)

5. მითითება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე მიმდინარე ან/და დასრულებული სასამართლო დავის თაობაზე

(გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული მიმდინარე ან/და დასრულებული სასამართლო დავის თაობაზე და საჩივარს თან დაურთოთ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6. შენიშვნები და დამატებები

(ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლის შემთხვევაში)

სხვა შენიშვნები და დამატებები:

7. საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა

დასახელება:

დასახელება:

დასახელება:
დასახელება:
დასახელება:

□ ვადასტურებ, რომ საჩივარში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და ჩემთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მოწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

მომჩივანი/მომჩივანის წარმომადგენელი ----------

ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი ლექვინაძე**